წირვა დიუსელდორფში აღევლინება კვირაობით დილის 10:00 საათიდან 11:00 საათამდე (დადგენილების შესაბამისად 60 წუთი).

COVID 19-ის ინფექციისგან დაცვისთვის აუცილებელი რეგულაციები და წესები ღვთისმსახურების დროს ქ. დიუსელდორფის წმ. მღვდელმოწამე ანთიმოზ ივერიელის სახ. სამრევლოსთვის.
ქ. დიუსელდორფში წმ. მღვდელმოწამე ანთიმოზ ივერიელის სამრევლომ, ენერვეს ინფექციის საწინააღმდეგო დადგენილების შესაბამისად შეიმუშავა შემდეგი უსაფრთხოების წესები და დაადგინა:
 სამრევლოს ტაძარში, Fährst. 95 40221 Düsseldorf ნებადართულია საზოგადო და კერძო ღვთისმსახურებანი შემდეგი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ღვთისმსახურებაში მონაწილეებს შორის დაცული უნდა იყოს მინიმალური დისტანცია 2 მეტრი ტაძარში და 1,5 მეტრი ეკლესიის ეზოში. იგივე დისტანცია უნდა დაიცვან საკურთხეველში მყოფმა მონაწილეებმაც. ერთ სახლში მცხოვრები ოჯახის წევრები არ არიან ვალდებული დაიცვან აღნიშნული დისტანცია. აკრძალულია ჯგუფებად დგომა ტაძარშიც და ეზოშიც.

2. თუ წირვა აღესრულება ღია ცის ქვეშ, დამსწერთა რიცხვი უნდა იყოს არა უმეტეს 50 ადამიანისა 1,5 მეტრი დისტანციის დაცვით.

3. რადგან ფართობი ტაძარში (დგება მხოლოდ 7 ადამიანი) და ეზოში(დგება მხოლოდ 50 ადამიანი)
შეზღუდულია, წირვაზე დასწრების მსურველნი აუცილებელია წინასწარ ჩაეწერონ მონაწილეთა სიაში.
დამიკავშირდით შემდეგ ნომერზე: 01786911 855 (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დილის12-დან საღამოს 18-საათამდე). ღვთისმსახურებაში ყველა მონაწილემ სიაში უნდა ჩაწეროს საკუთარი სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონი.

4. ყველა მომსვლელისთვის, ეკლესიიის მთელ ტერიტორიაზე - ტაძარშიც, ეზოშიც და ღვთისმსახურების დროსაც აუცილებელია პირბადის ტარება.

5. აღსარებები შემდეგი პერიოდის განმავლობაში მიიღება მხოლოდ წერილობითი ფორმით. წირვის დაწყების წინ შეგიძლიათ თქვენი წერილობითი აღსარება გადასცეთ მოძღვარს.

6. ადამიანები, რომელთაც აღენიშნებათ სიცხე, ხველა ან COVID-19-სთვის დამახასიათებელი სხვა სიმპტომები არ უნდა მოვიდნენ ტაძარში.

7. ისეთი ასაკის ბავშვები, რომელნიც ვერ შეძლებენ წირვაზე დგომას და დისტანციის დაცვას, ჯერ-ჯერობით არ უნდა მოვიდნენ წირვაზე.

8. შემოსვლისას და ტაძრიდან გასვლისას, შესასვლელ კართან და ტაძრის შიგნითაც მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება ხელების სადეზინფექციო ხსნარი. ტაძარში შესვლისას და გასვლისას ყველა მონაწილე ვალდებულია გაიკეთოს ხელების დეზინფექცია.

9. ღვთისმსახურება უნდა გაგრძლდეს არა უმეტეს 60 წუთისა. წირვის დამთავრების შემდეგ მონაწილეებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ ტაძარი, რათა მოხდეს მისი განიავება, დასუფთავება და დეზინფექცია შემდეგი ღვთისმსახურებისთვის. ტაძრიდან გასვლისას მონაწილეებს შორის დაცული უნდა იყოს დისტანცია. დაუშვებელია ჯგუფებად გასვლა ან დგომა ტაძრის გარეთ.

10. გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელი დისტანციის გამო წირვის დროს ტაძარში ყოფნა შეეძლება ადამიანების მხოლოდ გარკვეულ რაოდენობას ანუ ვინც წინასწარ განაცხადებს მოსვლის სურვილს. ინფორმაცია თუ რამდენი წირვა ჩატარდება და რომელ დღეებში, გამოქვეყნდება ინტერნეტში.

11. გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ ეს რეგულაციები თანხმობაშია გერმანიის მთავრობის შესაბამის განკარგულებასთან და ენერვეში მოქმედი ყველა ეკლესია ვალდებულია დაიცვას იგი.